ბრძანება:**ბ46. 462433714**

თარიღი:**02/12/2024**

მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 115-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 ნოემბრის #48 (რეგისტრაცია: გ-47.47243342) განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოტანილ იქნეს ელექტრონულ აუქციონზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება დანართი N1-ის შესაბამისად.

2. საპრივატიზებო ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ბეს და ბიჯის ოდენობა დადგინდეს დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს აუქციონის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი N3-ის შესაბამისად.

4. აუქციონის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულ იქნეს ვებგვერდზე www.eauction.ge.

5. დაევალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს სააუქციონე ინფორმაციის გამოცხადების მომსახურების საფასურის ანაზღაურება.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქუჩა N4.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით შარაშიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია-
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი